

რედაქცია

გაზეთის რედაქცია... მისამართი...

ხელის-მოწერა

მისამართი... მისამართი...

„დროების“ შანი:

თელის წელი... 9 მან. ხმის თვის... 3 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

შანი განცხადებისა

დროის განცხადება... მისამართი...

ცალკეობა... რედაქცია...

არწრუნის თეატრი.

კვირას, 5 დეკემბერს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

არსენა

დრამა 3 მოქმ. თხზ. პ. მოხუბარძისა.

II

ბუტიკობა

ვოდევილი 1 მოქმ. თხზ. პ. შერეთლისა დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრაფი

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“

2-ს დეკემბერს.

მარშაპე. ზოგადი ფარმები ემ-სადებიან ელექტრონულ გამოფენისათვის ვენაში.

მინა. ნამდვილი ხმები, რომ ეგრძის კონტრუნცია დუნის საქმეებს შესასებ ანგრის დამდგეს შეავრბება ღონდონში.

პატარაშრლი. განცხადება მეორე გაფრთხილება გასეთ „ადმოსაფელის“.

აღკრძალვან ცალკე ნომრების გაფრთხილება გასეთ „ახს“ („უაჰ“) გას. „ახს-

„დროების“ ფელტონი, 4 დეკემბ.

მიწერ-მოწერა

მალარა, 20 ნოემბერს.

ძალი მიხილი! პი გადის თითქმის მესამე თვე, რაც მე შევეუდგე მუშაობას და ახლა შემძლიან მოგწერო რამდენიმე საინტერესო ცნობანი ჩემი მოღვაწეობისა. მაწყობ, ძმაო, სკოლიდამ. პარგად გეცოდინება შენ, რომ სოფლის სკოლის ბიჭიკოები ძალიან ხშირად აკლდებიან კლასებს, ხშირად სულ უბრალო მიხვების გამო: ღდება ჩემმა ბატებს დამისაყა ყარაულათაო, ინდაურები დავკარგეთ და იმათ ვეძებდით, მკითხეთან გამგზავნესო“ და სხვ. ამ ნაირ კლასების დაკლებას ხომ კიდევ ის მოაქვს, რომ ბავშვები რჩებიან უკან და ერთი განყოფილება იყოფა ორ, სამ და ხშირად ხუთ განყოფილებადაც, და ოსტატს ეკარგება ყოველი ღონისძიება მათი სწავლებისა.

მე ამ გვარ მოვლენას მოველოდი ჩემ სკოლაშიაც და იმისათვის საქმის დასაწყისშივე ვიხმარე ზოგიერთი ზომანი, რომლითაც ჩემის აზრით შეიძლებოდა ასცილებოდა კაცი ამ გვარს სენს. მგონია, დამეთანხმები, ძმაო,

და დროების“ სიტყვით ფინანსთა სპინისტრის განზრახვა აქვს ცვლილება მოახდინოს ანაშენებისა და ბასრების წესებში.

განზრახვა, ყველგან მაქმაცოს ზოღადიების გასვლას, ხარჯს.

„უეტერბურ. უწე.“ იწერებიან, რომ გზის სამინისტროს გამოსამშენებელსა წესები, რომლის ძალითაც ვადდებულნი არიან ყველა სსოგადობისა რკინის-გზებისა ავგონ სსწეობანი კერძო ზირთა ბარგების შესანახავად და ზასუნიც ავგონ, თუ გაფუჭდება საქონელი კერძო ზირებისა.

ღნიშრი

სპარსეთის ღენერალური სადესპანო აცნობებს ტფილისში მცხოვრებ სპარსელებს, რომ კვირას, 5 დეკემბერს არის დაბადების დღე მისი უდიდებულესობის სპარსეთის შაჰისა და ამ დღეს ღენერალური დესპანი სპარსეთისა მიიღებს მილოცვას.—სალამოს, ამ დღეს სადესპანო იქნება გაჩირადღენებული.

მოკლეს ხანში გვექნება ახალი ქართული ღრამატიკა.

შხუცესი წარმომადგენელი ჩვენი ლიტერატურისა და ერთი პატიოსანი

რომ ამ გვარი (კლასების დაკლება) მოვლენა აიხსნება, არა მარტო იმიტო, რომ გლეხის ბავშვს მართლა შინ საქმე ჰქონდა და იმიტომ ვერ მოვიდა გაკვეთილზედ, არა ეს არ არის მძიმე საბუთი. საქმე იმაშია, რომ სკოლა და სოფლის ცხოვრება ძალიან დამორყეული არიან ერთმანეთზედ. მერწმუნენ, რომ ბევრმა გლეხმა არც კი იცის, თუ მის სოფელში არის სკოლა, და ან საიღამ ეცოდინება! სოფლის მასწავლებლებს, ხშირად თავიანთი ცუდის ქცევით, ისე აქეთ თავისი პიროვნება დამცირებული, რომ გლეხები ზედაც არ უყურებენ. აბა მითხარით, ამათთანა მასწავლებლებთან მოწაფეები არ დააკლდებიან კლასებს? საქირთა, რომ სკოლას გჭიროს თავისი ღირსეული ადგილი სოფელში და! საქირთა, რომ იგი იყოს მართლა ღამაზი, რომელიც უნათებდეს ხალხს? იმე ხალხი გულ-გრილად უყურებს სკოლას, თუ მან იცის მისი არსებობა მხოლოდ იქილამ რომ ახდენინებენ სკოლის ფულსაც სხვა გვარ ხარჯთან, თუ მასწავლებელი ხშირად საქმის დღეს აუქმებს თავის პატარა მოწაფეთ და მათ აძლევს მათ მაგალითს, მოვალეობის ერთგულად არ მოპყრობისას, მაშინ ნურც ის დაემდურება ბავშვებს,

მოღვაწეთაგანი ამ ასპარეზზედ ღმიტრი ივანეს-ძე შიფიანი ადგენს ქართულს ღრამატიკას. ღრამატიკა, როგორც გვაცნობებს, იბეჭდება პეტერბურში.

ჩვენი გაზეთის მე-251 №-ში შოთილამ კორრესპონდენციის შესახებ, სადაც იწერებოდნენ, რომ იმ ნაქურდულ ნივთებში, რომელნიც აღმოაჩინეს ლაპარტყავას სადგომში, ერთმა მებატრონემ თავისი ველარა იპოვა-რაო, მას შემდეგ, ეხლა გვეწერენ, რომ ის ნივთები საღ-ყო და საღ-არა ისევე აღმოუჩენიათ და მიუღიათ მებატრონეთაო.

„აგაკას“ გაუგონია, რომ შესდგა კამპანიაო ცხენის რკინის-გზის გასაყვანად ხაშურის სტანციიდან ახალციხემდე ბორჯომით. ამბობენ პროექტი ამ საქმის თაობაზედ უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად.

ჩვენ გვაცნობებს, რომ ოთხშაბათს დეკემბერს საზაფხულთა თეატრში ღანიშნული პ. მესხის ბენეფისისათვის დრ. „სამშობლოს“ წარმოდგენაო.

რუსულ გაზეთებში იწერებიან, განათლების სამინისტროში აღძრული

კლასებს რად აკლდებიანო. მაგრამ, ვიმეორებ, თავი და თავი მიხვნი არის ის გარემოება, რომ სკოლასა და ხალხსა შორის არ არის არაერთი კვეთი.

ბწერ, როგორ მოვიქვეც მე ამ შემთხვევაში. მოვედი სოფელში სწორედ სამი კვირით წინ, ვიღრე კლასები დამეწყობოდა და ეს ხანი მოვხმარე იმას, რომ ჩამეგონებინა ხალხი, მამები, რათა ყველან ერთ დღეს მოეცათ შეილები სკოლაში, რომ წლის შუაში მიღებულს ბავშვს მთელი წელიწადი დაკარგული აქვს, რადგან ამხანაგებზედ ძალიან შორს იქნება დარჩენილი. ამავე საგანზედ და საზოგადოდ სწავლის მნიშვნელობაზედ ჩემის თხოვნით ერთ კვირა დღეს მამა ი—მამაც სთქვა ქადაგება ეკლესიაში. საზოგადოდ მე ჩვენ მღვდელს ძალიან დავუახლოედი, დავუმეგობრედი და მასში ვხედავ კარგ თანამეწყვესაც ჩემი აზრების გასატარებლად ხალხში; მე და მამა ი... ძალიან ერთგულად ჩაეჩინებდით ხალხს სკოლაზედ, მის მნიშვნელობაზედ გლეხის ცხოვრებაში... ამ გვარის ქცევით ხალხში დიდი ყურადღება აუძარით ჯერ კიდევ დაუარსებელ სკოლისადმი. სკოლა დავუხატე მათ ისეთ ძალად, რომელიც

კითხვაო, რომ მომავალი წლიდამ რუსეთის ყველა უნივერსიტეტებში მოუმატონ გადასახადი ლექციების მოსასმენად. აწინდელი 50 მანეთის მაგიერად ღანიშნოს 80 მანეთი.

ჩვენის გაზეთზედ მომხდარი ცარცის თაობაზედ გამოძიება კარგად მიდისო, იწერება „იურიდ. მიმ.“ როგორც ამბობენ მიუხვნიათ ერთი ავაზაკთაგანის კვლისათვის. რალაც დოკუმენტი უნახეთ დაგდებული სწორედ იმ ვაგონში, სადაც ცარცვა მოხდაო. ამავე გაზეთის ცნობიდან ვაცნობეთ ჩვენ მკითხველებს ამას წინად, რომ ამ საქმის თაობაზედ გამოძიებლად ბ. ხოსროვეიაო ღანიშნული. მხლა გავიგეთ, რამ ბ. ხოსროვეი არ იძებს ამ საქმეს. ის მხოლოდ თავის ნებით იყო ცარცის ალაგს და 207 მუხლის ძალით სისხლ. სამ. წეს. კერძოდ შეჭკრიბა რამდენიმე ცნობაო.

გართული საგონიერო ტერიფების გამომკვეთელი ქრების საშუალებაოდ.

მსურს ორიოდ სიტყვა მოვახსენო ხსენებულ კრებას არითმეტიკის შესახებ, რადგან ის ამ საგნიდამაც ამუშავებს ტერიფებს.

რომ შევადაროთ სხვა-და-სხვა ხალხიდაც თავისკენ უშვილოსა და შვილიან გლეხებს. ღღეში ათჯერ უნდა ეკითხნათ: „პაცო, როდის გახსნი სკოლასაო?“ იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ყოველმა ახალმა ამბავმა ასე იცისო; მაღაროელებისთვის სკოლა ახალი ამბავია და ეს სურვილებიც იმის ნიშანიაო. იქნება მართლაც ასე იყოს, თუ მეც შემდგომი აღარაფრით აღარ აღვიკრავ საზოგადოების ინტერესს სკოლისადმი, მაგრამ მე ასე არ მოვიქცევი.

სამი დღით წინ გამოვეუცხადე მასახლისის შემწეობით ხალხს, რომ ამა და ამ დღეს გაიხსნება სკოლა და მოვიდნენ ყველა მშობლები თავიანთი შვილებით. სკოლა გაიხსნა პანაშვიდით, რომელზედაც უფალო შეგეწყალო“-ს გალობდა ჩემი პატარა ხორო, შედგენილი ექვსი ბიჭისაგან, რომელთაც ს. მი კვირის განმავლობაში თავისუფალ დროს შეეყრიდი ხოლო მე და ვასწავლიდი. შემდეგ პანაშვიდისა ორიოდ სიტყვა კიდევ ვსთქვი მასზედ, თუ რა სარგებლობა მოაქვს სკოლას და შემდეგ წავიკითხე სიამილებული ბავშვებისა და დავაყენე ივინი ცალკე, რომელთაც მამა ი—მ. მოკლევ ქრისტეანობრივი დარიგება წაუკითხა. იქნება დაამძახონ, სთქვან,





ხის ზებირ-თელა ერთმანეთს, ჩვენ მათ შორის აღმოვაჩინეთ ზოგიერთ განსხვავებას. ამ აზრის დასამტკიცებლად საკმაოა, რომ შევადაროთ რუსული და ქართული თელის წესები. თავიდა-თავი განსხვავება ჩვენი თელის წესისა რუსულ თელის წესისაგან მდგომარეობს მასში, რომ ჩვენ ესთვლით **ცხრილი** და რუსები-კი **ათობით**. ათობით თელა მდგომარეობს მასში, რომ ამ წესით თელა ტრიალებს ათ პირველ რიცხვზე. ამ წესით მთელი-ლები იწყობენ თელას ერთიდან, აღიან ათამდინ; შემდეგი რიცხვები შესდგება ათიდან და ორიდან და სხვ. რუსები ამბობენ: ათი-ერთი, ათი-ორი, ათი-სამი და სხვ., ვიდრე ოცამდის, ოციდან ოც-და-ათამდინ რუსები სთვლიან ისევე, როგორც ჩვენ: ოც-და-ერთი, ოც-და-ორი და სხვ. შემდეგი რიცხვები ორმოცამდინ შესდგება ოც-და-ათადგან და რომელიმე ერთ ნაწილს რიცხვისაგა, მაგალ. ოც-და-ათი ერთი, ოც-და-ათი ორი, ოც-და-ათი სამი და სხვ. შემდეგი რიცხვები შემდგარია რომელიმე ათეულიდან და ერთეულიდან, რომელი-საც ეკუთვნის ცხრა პირველი რიცხვი, მაგალ, ოთხი-ათი ხუთი, ექვსი-ათი შვიდი, რვა-ათი სამი, ცხრა-ათი ერთი და სხვ. მართველებს თელა ტრიალებს ოც-პირველ რიცხვზე, მაგალ. ქართველები ამბობენ: ოც-და-თუთხმეტი, ორმოც-და-ცამეტი, სამოც-და-ჩვიდმეტი, ოთხმოც-და-ცა-

თუ ეს სულ მეტი არისო, ფორმა-ლურობააო. ღიად, ეს არის ისეთი ფორმალურობა, რომელიმაც მთელი ერთი თვე სოფელი სკოლაზედ ალა-პარაკა და რომელიმაც არა მცირედ შურბოკლებული სიტყვები ათქმევინა ზოგიერთს მამას: „ი ზაქროს ბიჭი რა ლამაზად გალობდა, სუ გინდოდა რომ ყური გეგდო!“ შემდეგში, როცა შა-გირდებს კარგად ვასწავლი და გაიფი-ლი რამეს, ლიტერატურულ სალა-მოებსაც გამართავ, რომლითაც, იმე-დი მაქვს, სკოლას ეკვლესიაზედ არა ნაკლებ შევაყვარებ ხალხს.

ბრ ვასულა კვირა ნახევარი, როც მე სწავლა დაიწყებინე, რომ ერთ ქარბუქიან დღეს მოვიდა ჩემთან ჩა-ფარი პაკეტი. მავსენ. პატარა ბრო-შიურა ზედწარწერით: „მალაროს სოფ-ლის მასწავლებელს საყურადღებოდ და ვალდებულ სახელმძღვანელოდ“. ბროშიურის სახელი არის: „სამოსწავ-ლო პლანი სოფლის სკოლებისა და რუსული ენის ადგილი მათში.“ — ძარ-გი და პატროსანი.

მიღვეითხე ეს „პლანი“, მიხვილ, სამჯერ და სამჯერვე დიდს დაკვირ-ვებით, ან კი მოდი და ნუ დააკვირ-დები, როდესაც გწერენ „ვალდებულ სახელმძღვანელოდ“. ეს „პლანი“ მეუბნება: მე ვარ შენი სემინარია, პეს-ტალოც, დისტრევიც, ამოს ძო-მენსკიც და შშინსკიცაო. აიღე ჩემი თავი, დამსწავლე ზებირად, დამდე შენს სტოლზედ სახარების მაგიერ,

მეტი და არა სამი-ათი ხუთი, ხუთი-ათი სამი, შვიდი-ათი შვიდი, ცხრა-ათი ცხრა, როგორც იტყვის რუსი. რადგანაც რუსები ყოველს რიცხვის სახელს ადგენენ ათ-პირველ რიცხვი-საგან გარდა ზოგიერთა სახელებისა და ყოველი რიცხვი ათ პირველ რიცხვი-საგან არის შემდგარი, მათ რიცხვის გამოსახატავად არაბებისაგან მიიღეს ათი ციფრი, რომელთა შორის ცხრა მნიშვნელია და მეთე უმნიშვნელო. ჩვენც რიცხვების გამოსახატავად შე-მოვიღეთ იგივე ათი ციფრი, თუმცა ძნელია ყოველი ქართულად გამოთქ-მული რიცხვი დაიწეროს ათი ციფი-რის საშვალდებით. მე აქ სიტყვა მხე-ლად იმითამ კი არ ვინმარე, რომ მე-გონოს ვითომ იყოს ისეთი რიცხვი ქართულ ენაში, რომელიც არ გამო-ინახებოდეს ათი ციფრის საშვალე-ბით. არა. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ბევრ რიცხვს ისეთი გამოთქმა აქვს ქართულ ენაში, რომ პირ-და-პირ ვერ მიხვდები რა ციფრები უნ-და დასხა მის გამოსახატავად. მა თუ დასაწერი რიცხვი ორ-ნიშნისაა, უე-ჭველია, უნდა გამოიანგარიშოთ, რა-ზღენი ათიდან და ცალისაგან არის შემდგარი, რომ იგი გამოხატოთ. რიცხვს ორმოც-და-ცამეტს ეხატაბთ ორი ციფრით: 5 და 3, თუმც კი-ერთბაშად ვერ მიხვდება საიდან ჩდება ეს ციფრები; რიცხვს სამოც-და-სამს ვსწერთ 6 და 3-თ, თუმც ერთბაშად ვერ იტყუის კაცი საიდან

თუ გინდა მართებული, გონიერი, გამოჩენილი, საქვეყნო, და შე-ულდრელი პედაგოგ - პსიხოლოგი იყოფო. მართლაც, რომ ეს სულ ასეა. ამისთანა მოსწრობილი პედაგოგიური ქეშმარიტებანი არ შემხვედრებიან არც ერთ შემოხსენებულს ადგილებში. ის დალოცვილი სემინარია, რატომ არ აცნობებს თავის მოწაფეთ იმ პლანს, რომლითაც იმათ მოწაფეთ უნდა მო-მავალში იხელმძღვანელონ. რატომ არა აქვთ გამართული ისეთი სამაგა-ლითო სკოლა, სადაც ეს პლანი ყოე-ლის თავის არსებით სრულდებოდეს, რომ მომავალმა მასწავლებელმა სკო-ლის სკაშხედვე გაიგოს ყველა ის სი-ბრძნე, რომლის შეთვისებას და გა-გებას მერე მან უნდა თავისი ნორჩი-ტყუა და გონი შეალიოს და იქნება მაინც ვერ გაიგოს. მეც სწორედ ასე მამდის, მიხვილ! მე ვერ მოგრევივარ, ძმაო, ამ პლანს, ვერ შემითვისებია იგი. მთელი პლანი, წინააღვე გეტყვი, ისეა დაწერილი, თითქოს ის პლანი კი არა, პოლემიკური თხზულება იყოს. შემდგენელი სცდილობს დამტკიცოს, რომ სოფლის ხალხს რუსული ენა მსურსო, რომ, მართლაც და სახარ-გებლოა მისთვის ეს ენაო, ძალიან შემცდარია ვინც წინააღმდეგს ამბობ-სო. მიხვილ! ნუ თუ მართლა არიან ისეთები, რომ არ ეთანხმებოდნენ ამ აზრსა? ძალო, მეტი ცოდნა ვის მოს-წყენია, რომ ჩვენ ხალხს მოსწყინდეს, არ ვიცის? ეს მიმართულება პლანისა, ვგონებ, ერთობ მეტია და ამით იგი

ჩდება ეს ციფრები: ესევე ითქმის ყოველ ორ-ნიშნისა, სამ-ნიშნისა და მრავალ-ნიშნისა რიცხვებზე. რუ-სებისათვის კი რიცხვის წერა ადვილ რამეს შეადგენს, რადგანაც ზებირ-თელა და წერიით-თელა ერთმანეთს არ ლაღატობენ. რუსები ამბობენ ექვსი-ათი სამი და ხატვენ კიდეც ციფრი ექვსით (6) და სამით (3), იტყვიან ხუთი-ათი სამი და ხატვენ კიდეც ხუთით (5) და სამით (3) და სხვ. შეველა ესე რო ვიქონიოთ მხე-დველობაში, ჩვენ დაუადგებით იმ აზრს, რომ ჩვენ ზებირ-თელას ისე უხ-დება ათი ციფრის კვლობით წერით თელა, როგორც, რუსების არ იყოს, ძროხას უნავიო. ამიტომ რადგანაც ესთვლით ოცობით და არა ათობით, ჩვენ უნდა შემოვიღოთ ათი ციფრის მაგიერად ცხრი ციფრანი. მართალია, წერიით თელას აქვს მიზნად ცოტა ციფრის შემწვობით გამოხატოს ყო-ველ-გვარი რიცხვი, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცოტა ციფი-რის ხმარება ხდება ნაკლებუენებად, თუ თვითონ რიცხვი არ უჩვენებს კაცს, რომელი ციფრები უნდა იხმაროს კაცმა მის გამოსახატავად და იძულე-ბულ ხდის მას მისი გამოხატავ ცი-ფარების გამოანგარიშებას. მაშასადა-მე, ათი ციფრის ხმარება შეადგენს ჩვენი წერიით თელის ნაკლებუენე-ბას და არა სასურველ ღირსებას. შემოდ იყო ნათქვამი, რომ ჩვენ ათი ციფრის მაგიერად, იცი ციფრი უნ-ეომება ქარის წისქვილს. ძითხვა უნდა იყოს დაყენებული ძალიან მარტივად: შესაძლოა თუ არა, რომ ჩვენმა სოფ-ლის სკოლამ ასწავლოს ხალხს რუ-სული?

ამ მხრით შევხვდავ პლანს და გა-ვარჩევ ზოგიერთ იმ საბუთებს, რომ-ლებიც ამტკიცებენ, რომ შესაძლოა სოფლის სკოლამ იმდენად მოამზადოს ბავშვები, რომ მათ არა თუ შეეძლოთ რუსული კითხვა და გაგონა, არამედ მსურველთ დაუბრკოლებლივ გიმნა-ზიებშიც შესელო.

„სქაურს სოფლის სკოლებში, ამ-ბობს პლანი, სწავლობენ და ისწავ-ლიან არა მარტო ისეთი ბავშვნი, რო-მელთაც მსურთ შეისწავლონ სამობ-ლო ანბანი, არამედ ისეთნიც, რო-მელთაც მსურთ სწავლის გაგრძელება სამაქდაქო და რეაღურ სასწავლე-ბებშიც, ზნაგვიმწახაში და გიმნა-ზიებშიც, როგორც სავაჟო ისე საქა-ლებო. სოფლის სკოლის მოწაფეთა შორის არიან არა მარტო გლეხის შვილნი, არამედ ღარიბ თავად-აზნა-ურთა შვილებიც, რომელნიც საზო-გადოდ მიილტვიან უმაღლეს სასწავ-ლებლებსკენ, და რომელთათვის ამ გვარი განათლება შეადგენს თითქმის აუცილებელ საჭიროებას იმათი სო-ციალური მდგომარეობის გამო. ამი-სათვის სოფლის სკოლას, თვისი სა-მოსწავლო კურსით, არა თუ შეუძ-ლიან, არამედ აუცილებლად საჭი-როა მქონდეს მქილრო, ორგანიული კავშირი უმაღლეს, მასთან შედარე-

და შემოვილოთ. ამ წინადადებას გამოსაკვლეად-საჭიროა ორი კითხ-ვა აღესძრაო. 1) შეიძლება თუ არა ოცი ციფრის საშვალდებით გამოიხა-ტოს ყოველ-გვარი რიცხვი და 2) გაუადვილებს თუ არა ოცი ციფრი კაცს ყოველ-გვარი რიცხვის გამოხა-ტვას; როგორც პირველ, ისრე მეორე კითხვაზე ჩვენ გადაჭრილი პასუხი გვაქვს; პირველზე— შეიძლება, მეო-რეზე— გაუადვილებს. რა ეს უსაფუძ-ლო ფრახები არ არის, ჩვენ ვეცდე-ბით დავამტკიცოთ. ავიღოთ რომე-ლიმე რიცხვი და გამოვხატოთ ოცი ციფრის კვლობაზე, თუნდ ათას-ორას-სამოც-და-ჩვიდმეტი. ეს რიცხვი გამოიხატება ოთხი ციფრით, რადგა-ნაც ჩემის ფიქრით, წესი ისევე ისე უნდა დარჩესო, როგორც რუსულ-ში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ რიცხვს შეადგენენ ცალები ანუ ერთეულები, რომლებსაც უნდა ეკუთ-ვნინდენ პირველი ცხრაბეტი რიცხვი და არა ცხრა, როგორც რუსულში, და მეორე რიცხვს ოცეულები მაშა სა-დამე შემოდ მოხსენებული რიცხვი დაიწერება ასე: 1230, სადაც 0 ნი-შნავს ჩვიდმეტს, სამი (3) სამოცს, რადგანაც ზის მეორე რიცხვზე, ორი (2) ორასს და 1 ათასს. ამ სისტემით ოცი-ათასი გამოიხატება ესე: 10,000, ასი ათასი ესრე: 100,000. ოც-და-ათი-ათასი ესრე: 1X000, სადაც X მი-ლებულია ათად და სხვა. ამ წესით წერა ისე ადვილად მიმჩნია, რომ ბით, სასწავლებლებთან. ამისათვის ყოველი დაწყებითი(?) სკოლა აუცი-ლებლად უნდა იყოს არა მარტო სა-ზოგადო-განმანათლებელი (общее на-звательная), არამედ მომზადებელიც გიმნაზიის, პროგიმნაზიის და რეალუ-რი სასწავლებლის ზინგული კლასებს-თვის, და რადგან ამ კლასებში იღე-ბენ ბავშვებს, იმ პირობით, რომ მათ იცოდნენ რუსული ენა“ და სხვ. მრ-თის სიტყვით გამოდის ის საჭიროება, რომ სოფლის სკოლამ უთუოდ უნდა სამი წლის განმავლობაში მოამზადოს ბავშვი იმდენად, რომ მას შეეძლოს საშუალ სასწავლებლებში შესელო, თუ მოისურვებენ ამას მათი მშობელ-ნი. მ.პ! რა ჩინებული მიზანია! წარ-მოვიდგინოთ თუნდა მარტო ის, რომ ჩვენ ღარიბ ხალხს აღარ დასჭირდება ისეც ცარიელი ჯიბის და ცარიელება და შეილებების სხვა-და-სხვა კერძო პან-სიონებში ძლივეა, რომლებიც ასე გა-მრავლდენ ჩვენ ქვეყანაში და სწო-ვენ ხალხს სისხლს. მაგრამ ეს ასე არ არის. თუ კი სოფლის სკოლას და საზოგადოდ პირველ დაწყებით სკო-ლებს სამი წლის განმავლობაში შე-ეძლოთ ამისთანა საქმის ასრულება, მაშ რაღა მეტი-ჩარაობა მოსდით მი-რიმანოვებს, ტერ-პკოფოვებს, რე-ცოლდებს და კამპანებს, რომ ხსნიან კერძო მოსამზადებელ კლასებს და იღებენ აუარებელ ფულებს. ნუ თუ ჩვენ იმდენი სოფლის და პირველ-დაწყებითი სკოლები არა გვაქვს, რომ მათ მოეცათ საჭირო რიცხვი მოსწავ-



კითხვას გაუადვილებს თუ არა ოცი  
კითხირი ყოველ-გვარი რიცხვის გამო-  
ხატვას ესთვლით აქსიომად და ამი-  
ტომ ესტოვებ დაუმტკიცებლად.

ის აზრი, რომ ვითომ ჩვენც ათი  
კითხირი უნდა შემოვიღოთ, რადგანაც  
მას მთელი მერობა ხმარობსო უსა-  
ფუძლო აზრად მიმაჩნია, რადგანაც  
ჩვენი ზვირ-თვლა სხვა კანონებს  
ემორჩილება და ევროპული ხალხის  
ზვირ-თვლა სხვა კანონებს. რუსები  
ძალიან დაშავებდნენ, რომ ათი ცი-  
ფირის მაგივრად ან მეტი ან ნაკლები  
ემხარათ და ჩვენც, ჩემის აზრით,  
კარგად მოვიქცევით, რომ ოცი ცი-  
ფირი შემოვიღოთ, რადგანაც ოცი-  
ბითა ესთვლით. სხვათა შორის იყო  
გამოთქმული ის აზრი, რომ წერილით  
თელის შეცვლას სჯობია, ზვირ-  
თვლა შევცვალოთ, ე. ი. დავაჩვი-  
ოთ ხალხს, რომ ოც-და-ერთის მა-  
გივრად ორი-ათი ერთი სთქვასო;  
ოც-და-ცამეტის მაგივრად, სამი-ათი  
სამი; და სხვა, მაგრამ ეს შეუძლებე-  
ლია. ამ წესით დაწერილ რიცხვში  
პირველი რიგი არის ოც ჯერ ნაკლე-  
ბი მეორეზე, მეორე რიგი ხუთჯერ  
ნაკლები მესამეზე და სხვა ე. ი. რი-  
გების შორის სუფევს სრული უწყ-  
სობა.—მე ესტყვი, რაც სათქმელი  
მქონდა. მხლა ტერმინების გამოკვლე-

ველ კრებაზედ ჰქვიდა, რომელი წესი  
ირჩიოს რიცხვების გამოხატვადა.  
მ. ქვლიაძე.  
ტიფლისი, 2 დეკემბერს.

„დროების“ კორექსონდენცია

ზორი, 2 დეკემბერს. სოფელს მთა-  
რაშენში მცხოვრებელს (ზორის მან-  
რაში) თ. ძონტანტინე ამილახვარს  
ჰყავდა მწყემსად თავის ცხვარში, ერთი  
გლეხი მიხა მელაძე იმ პირობით, რომ  
მას, მელაძეს თავისი საკუთარი ცხვა-  
რიც უნდა ჰყოლოდა ხსენებული ამი-  
ლახვარის ცხვარში ამისავე ხარჯზე.

მელაძემ დაიმსახურა დიდი ერთ-  
გულობა ამილახვარისაგან. მადის შეს-  
რულების შემდეგ გამოუცხადა ბა-  
ტონს რომ ეს დაარჩევს თავის ცხვარს  
და წავა. ამილახვარმა ბევრი მოცი-  
ქული მოაღალა, რომ მელაძე კიდევ  
დამდგარ-იყო მასთან და ბევრიც მო-  
უმატა კიდევ ძველ პირობაზე, მაგრამ  
მელაძემ გარდასწყვიტა, რომ აღარ  
შეუძლიან დადგომა და ორ-სამ დღე-  
ში თავის ცხვარს დაარჩევს, წაიყვანს  
და წავა. რადგანაც მელაძემ ამილახ-  
ვარის თხოვნა არ შეასრულა, და არ  
დაუღბა მეორედ, ამილახვარმა, აღბად  
რომ მწყემსი ხელიდან არ წასლოდა  
გაუთვალა ცხვარი, უგდო შარი, რომ  
782 სული ჩაგაბარე მთაზე წასვლის  
დროს, აქედამ სახლის საპირობისათ-  
ვის დაეხარჯე 71 სული და 96 სული  
კიდევ მაკლიაო და რაც მელაძეს ამის

ცხვარში, ცხვარი ერთი, 57 სული,  
სულ წაართვა.

მელაძე მაინც არ ასტა, რასაც  
ერიდებოდა საჩივარს, და ბოლოს გან-  
ცხადა გორის მომრიგებელ მოსამარ-  
თლესთან საჩივარი. ამილახვარის დაუს-  
წრობლივ შესდგა გარდაწყვეტილება  
ხსენებულსასამართლოში, რომ გამოარ-  
თმოვოდა ამილახვარს 57 სული ცხვა-  
რი, ანუ ფულად თითოზე 8 მანეთი.  
ამილახვარს გამოეცხადა ესრეთი გარ-  
დაწყვეტილება. ახლა მან შეიტანა  
საჩივარი, რომ მელაძე პირ იქით აღა-  
ვებდა მელაძეს 96 სულ ცხვარს.

სასამართლომ ერთად გაარჩია ეს  
საქმე ამის შემდეგ და შემდეგი გარ-  
დაწყვეტილება დაურთო: რადგანაც  
მელაძეს 96 სული დაჰკლებია ანგა-  
რიში და ამილახვარს მელაძის ცხვა-  
რი 57 სული დაუჭერია, ამისათვის  
ამილახვარმა გამოიბაროს 96 სულში  
57 სული და დანარჩენი 39 სული  
კიდევ გარდახდეს მელაძეს ამილახ-  
ვარის სასარგებლოდაო.

საწყალი გლეხი მელაძე არ დაჰყა-  
ბულდა, რასაკვირველია, ამისთანა  
განჩინებას და გალიტანა საქმე ოლქის  
სასამართლოში. მს მელაძე დაახლოე-  
ბით მიცნობდა მე; ორის დღით წინ  
მოვიდა ჩემთან და წარმომიდგინა ნა-  
წარმოები საქმეების შედეგი და მთხო-  
ვა, რომ ზგე ჩემს საქმეს არჩევს ოკ-  
რუენი სული და გამოიგე შინაარსი ამ  
საქმეისაო. რაც იყო ყველა ისე უამ-  
ბე, რომ შედეგში ასე სწერია მეთქი.

შემდეგ მთხოვა ახაქრთი ამილახ-  
ვარის პირობა წამიკითხე, როგორ არი-  
სო. მარგა ხანს ვეძებთ ეს ბარათი, რო-  
მელშიაც წაიკითხეთ შემდეგი: „1879  
წელსა, მაისის 19-სა დღესა, მიხა  
მელაძე გაგზავნე მთაზე და გაატანე  
მსხვილი ცხვარი, ბატკანი თხა და ცი-  
კანი სულ ექვსასთობმეტი სული: თ.  
ძონტანტინე ამილახვარი“. რამოდე-  
ნიმე ხნის შემდეგ მთაზედ ერთ. ცხვარს  
კიდევ მოგვო და ამილახვარს ჩაუმატე-  
ბია ხსენებულს ბარათში ასე: „მთაზე  
კიდევ მოგვო ერთ ცხვარს: თ. ძონტან-  
ტინე ამილახვარი.“ ამ ბარათიდან ცხა-  
დად სჩანდა, რომ მელაძეს ჩაბარებია  
ამილახვარის ცხვარი 615 სული, ამი-  
ლახვარი კი 782 სულს აცხადებს სა-  
სამართლოში.

ზემოდ მოხსენებული ბარათი რო-  
გორც წაუკითხე მელაძეს, მსწრაფლად  
წამოვარდა ზგე და სიხარულით აღარ  
იკოდა რა ექმნა. მითხრა: „მაგ ბა-  
რათს ვეძებდი, მეგონა დამიკარგავს  
და რა კი ვიპოვე ეხლა გამართლდეს  
ამილახვარი; მე რომ მომრიგებელ  
მოსამართლისაგან საქმის გარჩევის  
დროს ეს ბარათი მქონოდა, ესე აღარ  
წამივიდოდა საქმეო, წერა-კითხვა არ  
მესმის და ეს ბარათი თუ მქონდა  
აღარ მეგონაო.“

ოლქის სასამართლოში ხსენებუ-  
ლის ბარათით ახსნა მელაძეს ვეკილ-  
მა, რომ ამილახვარის საჩივარი არის  
სიცრუვით შედგენილი და ამის რწმუ-  
ნებელს არ ჩაბარებია მისგან 782 სუ-

ლეთა ორი საცოდავი გიმნაზიისთვის,  
უკეთეს მათ შეეძლოთ ეს. სოფლის  
სკოლა კი არა, ავიღოთ თუნდ საშო-  
ქალაქო სასწავლებლის მაგივრი, რომ-  
მელიც სამი წელიწადი სწავლობს  
ისეთ სკოლაში, სადაც, შედარებით  
სოფლის სკოლასთან, გაცილებით ბევ-  
რი პირობები ახვევია გარს რუსული  
ენის კარგად შესწავლისთვის და და-  
ვაჭერინოთ გიმნაზიის პირველ კლას-  
ში ეგზამენი—ენაზოთ შესძლებს, თუ  
არა. მიტყვი და მრწამს, რომ ევრა  
და ამისი მაგალითებიც ათასი გვიძევს  
წინ. რამდენი მამები ბრუნდებიან  
უკან გიმნაზიიდან თვალ-ცრემლიანნი  
ამ ნაირად მომზადებული შეილებით.  
ბევრი ლაპარაკი, ან კი რა საჭიროა.  
მგონებ, ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენი  
სოფლის სკოლა თავისი მოკლე დრო-  
თი და იმ განსაკუთრებულ მდგომარ-  
ეობით, რომელშიაც იგია ჩაყენებუ-  
ლი შედარებით რუსეთის სოფლის  
სკოლებთან ევრა და ათასჯერ ევრ  
შესძლებს ამ ძალად მოხვეულის მიზ-  
ნის აღსრულებას.

მა ერთი მხარე ამ კითხვისა. მეო-  
რე უფრო საყურადღებოა.  
საზოგადო-განმანათლებელი და მო-  
სამზადებელი სკოლა! მა ორი ისეთი  
საგანია, რომ მათ შორის არა თუ  
კავშირი შეიძლება სუფევდეს, არამედ  
ერთმანეთთან არავითარი საერთო არა  
უნდა ჰქონდეთ-რა. ამას დიდი პედა-  
გოგების ავტორიტეტებითაც დავამ-  
ტყიცებდი, მაგრამ, რადგან ჩვენ დრო-  
ში ავტორიტეტს აღარა აქვს პირზედ

ხელ - დამფარებელი მნიშვნელობა,  
ვეცდები მე დავამტკიცო ჩემის ლო-  
ნით. მოსამზადებელს სკოლას, რო-  
გორც აჩვენებს თვით სახელი, აქვს  
სახეში მოამზადოს მოწიფე რომელი-  
მე სხვა დიდი სასწავლებლისთვის და  
ამ მიზნით მისი სამოსწავლო კურსი  
ერთობ ეიწროა, ერთ გვარი, დაუთა-  
ვებელი, ნაწყვეტი, რომელიც მერე  
უნდა გადაიბას სხვა კურსთან; და თუ  
არ გადაიბა, თუ მოსამზადებელი კლა-  
სიდან ბავშვი იმ სკოლაში არ გადა-  
ვიდა, რომლისთვისაც ემზადებოდა,  
მაშინ მიღებული სწავლა არა თუ მას  
გამოადგება რაიმე, იქნება აზიანოს  
კიდევ. მს სწავლა ემგანება დაუთა-  
ვებელ ტანისამოსს, რომელიც არ  
ჩაიცვის. ამისთანა სკოლაში ბავშვი  
იკლავს ძალ-ღონეს გრამატიკულ კა-  
ნონებზედ, სიტყვის ფორმებზედ, რად-  
გან ამას მოითხოვს პროგრამა იმ  
უმალესი სასწავლებლისა, საითაც ის  
ემზადება და ამავე დროსვე მას არა-  
ფერი არ გაეგება არც გეოგრაფიადამ,  
არც ბუნების-მეტყველებიადამ, არც  
სამშობლოს ისტორიიადამ, რადგან ამ  
უკანასკნელს არ ითხოვს პროგრამა  
და არც უნდა მას, რადგან შემდეგში  
შეასწავლის.

სრულიად სხვა მიზანი აქვს საზო-  
გადო-განმანათლებელს სკოლას. ის,  
სახელწოდებისამებრ აძლევს მოწაფეს  
სწავლას, შეძლებისამებრ სრულს.  
იმან იცის, რომ რომელიმე ცხოვ-  
რებაში უსაჭიროესი ცოდნა თუ დაკ-  
ლდა მოწაფეს ველარსად მიიღებს ის

ამ უკანასკნელს, და ამისათვის სკდი-  
ლობს მისცეს ბავშვს სწავლა საზო-  
გადო. ასწავლის მას ყველაფერს,  
მხოლოდ მოკლედ კი; რასაკვირვე-  
ლია პროგრამაც ამ ნაირი სკოლისა  
სულ სხვა ნაირია და ძალიან განირ-  
ჩევა მოსამზადებელი სკოლის პროგ-  
რამიდან. მართში ბავშვი იღებს ნაწ-  
ყვეტს სწავლას, იმედით, რომ მერე  
გაადგმელს და დაათავებს, მეორეში  
შეთავებულს, მოკლედ დამთავრე-  
ბულს და დაბოლოვებულს.

ბა, ახლა მითხარი, მიხეილ, რო-  
გორი სასწავლებელი უნდა იყოს სოფ-  
ლის სკოლა. პირველ გვარი თუ მეო-  
რე? თუ მიფილებს სახეში, რომ უმ-  
რავლესი ნაწილი სოფლის სკოლის  
შაგირდებისა ათაგებს ყოველ თავის  
განათლებას სოფლის სკოლითვე და  
1% მათგანი თუ მოინდომებს სწავ-  
ლის გაგრძელებას ისიც იშვიათი შემთ-  
ხვევია—მაშინ, ვგონებ, ყველა ერთხ-  
მად იტყვის, რომ არ შეიძლება ერთ  
კაცს შეეწიროს ოთხმოც-და-ცხრაშეტი  
მსხვერპლად და სოფლის სკოლა გა-  
დაიქცეს მოსამზადებელ კლასებად. მს  
შეადგენს ჩემს რწმუნებას და არ ეი-  
ცი ეხლა, როგორ შევითვისო პლანის  
სიტყვები: „სოფლის სკოლა უნდა სა-  
ზოგადო-განმანათლებელიც იყოს და  
მოსამზადებელიცაო.“

დასასრულ, მიხეილ, მოვიყვან ერთ  
მუხლსაც ამ პლანისას, რომელიც თვი-  
თონვე მჭევრ-მეტყველურად არღ-  
ვევს ყველაფერს, რაც წინად არის ნათ-  
ქვამი:

რაიცა შეეხება მოკლე ისტორიის,  
გეოგრაფიის და სამშობლო ქვეყნის  
შესწავლას, ამბობს პლანი თვის მე-  
14 გვერდზედ, სამშობლო და რუ-  
სულ ენაზედ, შეიძლება ეს საგნები  
არ იყვნენ ვალდებულნი სოფლის  
სკოლისთვის, რადგან გამოცდილებამ  
დაამტკიცა, რომ ბავშვნი 3-ში წლის  
განმავლობაში გვრ ასწრებენ შეის-  
წავლან კარგად კითხვა, წერა, პირ-  
ველი ოთხი მოქმედება არითმეტიკი-  
დამ და საღმრთო წერილი. აქაურ  
სკოლებში, ხსენებულს საგნებს, ემა-  
ტება კიდევ რუსული ენა: „ღმერთო,  
დიდება შენია! თუ კი იმ სკოლებში,  
სადაც ყველა საგნების სწავლა სამ-  
შობლო ენაზედ მიდის, იმ სკოლებში  
ძნელია პლანისა და გამოცდილების  
სიტყვით: არა თუ ბავშვების საგმნა-  
ზიოდ მომზადება, არამედ ხეირიანი  
წერა-კითხვის, მოკლე არითმეტიკის  
და საღმრთო წერილის სწავლება—მაშ  
ჩვენ სკოლაში, როგორ უნდა წავი-  
დეს საქმე, რომელსაც ზედ-ნადებად  
რუსული ენაც ემატება.

არ ვიცი, მიხეილ, შენ რა აზრისა  
ხარ ამ საგანზედ და მე კი, როგორ-  
ღაც ქუთაში არ მომდის. მაინც მო-  
ვიცი, ენაზედ იქნება მართლა ჩვენი  
გლეხები სამი წლის განმავლობაში  
სულ ავარუსულო!  
მომწერე შენი და საზოგადო აზრი  
ამ საგანზედ—როგორ უყურებთ ამას  
ტფილისში.  
მეორე წერილადის—შენი დიმიტრი.





ლი ცხვარი არამედ ნამდვილის საბუთით, ამილახერის ბარათით სიანს, რომ 615 სული ჩაბარებია და მით მელაძე სრულებით წმინდა გამოდის ამილახერის ცხვრის ანგარიშში.

ზანთავისუფლდა მელაძე, მაგრამ რადგანაც ამილახერმა აღიარა, რომ მელაძეს ოთხი თუ ხუთი სული ცხვრის მეტი არ დარჩომია და ამისზე აჩვენა მოწმეები, ეითომ ამა-და-ამ პირებმა იციან ესაო, სასამართლომ გადადო საქმე, რომ ამილახერის ნაჩვენებ მოწმეებს ფიცით ეკითხოს და რასაც ისინი იტყვიან, თუ რამდენი დარჩა, ანუ წაერთვა მელაძეს, იმდენს გარდასწყვეტს და ჩაბარებს მელაძე.

თვით განგებამ ხელი მოუშალა საწყალ მელაძეს, რომ ეს ბარათი აღმოუჩნდა, თორემ დაღუპული იყო იმის საქმე... მაგრამ ვინ იცის იქნება, როგორ გამოქანაჟდეს საქმე ამილახერის მოწმეების წყალობით.

ამილახერის შესახებ.

**ტვილისის სამაჟისტრო.**

ავადმყოფები მიიღეს დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდის.

**მ. შ. ბ. ა. თ. ს.** გარდაცვლილი და ლისიცი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—მარტვილის სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს.** მინკევიჩი—სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბუგოვი—მარტვილის სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს.** ლისიცი და მინკევიჩი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—მარტვილის სისუსტის ავადმყოფობისა.

**ხ. თ. შ. ბ. ა. თ. ს.** ლისიცი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—მარტვილის სისუსტის ავადმყოფობისა.

**მ. შ. ბ. ა. თ. ს.** მინკევიჩი—სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცი, მინკევიჩი და დანიელ-ბუგოვი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—მარტვილის სისუსტის ავადმყოფობისა.

**შ. ბ. ა. თ. ს.** ლისიცი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—მარტვილის სისუსტის ავადმყოფობისა.

**განცხადებანი**

დაიკარგა კალლი, კონტაქტი თეთრი ბული.

მანხელს ეთხოვთ წარმადგინოს „დროების“ რედაქციაში რი თვისად მიიღებს რიგთან ჯილდოს. (5-3)

დაიბეჭდა და ისეილება გ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში.

**სალაგური**

№ 1.

გამოცემის წ. ჩიჭინაძისაგან. ფასი 25 კაპ.

**ნაფიცო**

**ვეპილი**

საგვრი ვასილის-ძე ჩამოსვრი გოლდან ბალუსტის-ძე იაპულოვი ივანე იაკობის-ძე დოღოლოვო.

საერთოდ იღებენ საქმეების მმართველს 8 დეკემბრიდან ამა წლისა. მიღება 8-11 საათ. დილისა და 6-8 საათ. საღ. ზუბალოვის სახლ. სსსს. ქ. და ერევნის მოედანის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით. (3-1)

**ვალაძის სამაგისტროლო კამიტატი.**

იწვევს მსურველთ საქალებო შრომის-სიონაღურ სკოლაში შესვლის ჩაქვე-რონ 10 დეკემბრამდის სკოლის სადგამში სომხის პარტის და კათოლიკის ქ. ქ. კუთხეში, შიოყვის სახლებში, მუდამ დღე 10-12 საათ. დილის. იქვე და ქაღაჩის გამგეობაში შეიძლება შეტყობა მიღების შირობებისა. (3-2)

**ბ. ბ. მუხტარო ჩინა**

ჩვენის წიგნის უმცირესესად ვთხოვთ მიაქციონ ურადლება ბანდროლოვასზე ასეთ ქ. და ს.

ქმანი ქ. და ს. პაპოვი, სვანტრო სახლი მოსკოვში. (10-2)

**მ. შ. ბ. ა. თ. ს.** შავრდოვის გაზეთის სააგენტოში ტვილისში (ბოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

**მიიღება ხელის მოწერა**

1883 წლისა

შოველ გვარ ქურნალებზე და გზებზე აღვილობრივ, რუსულ და ამზღვარ ვარეთებზედაც. (20-8)

**მეიჩი-გვინა**

**ნ. დ. გავრონსკი**

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ქრევის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ქრევის მოედანით.

იღებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით დედაცოთა და ბავშვების სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10-3)

Открыта подписка на ежедневную политическую, общественную и литературную газету

**ЭХО**

в 1883 г.

В будущем, втором году своего существования газета «Эхо» будет издаваться в том же (большом) формате по той же программе (программе всех больших газет, под той же редакцией и при участии как нынешних, постоянных, так и новых сотрудников и корреспондентов.

Газета «Эхо» тем отличается от других изданий, что лицу, не получающему никакой газеты, «Эхо» дает разнообразный материал, и кроме передовых статей представляет о каждом событии не только свое мнение, но взгляды и мнения других, замечательных органов печати, как русских, так и иностранных, вследствие чего подписчики «Эхо» могут составить себе более широкую и беспристрастную картину на всякое событие; лицу же получающему, кроме «Эхо» другое издание, газета наша дает возможность узнать, как отнеслись другие органы печати к статьям и мнениям той газеты, которую оно получает.

**ПРОГРАММА ГАЗЕТЫ:**

- 1, Передовые статьи; 2, Телеграммы; 3, Новейшие политическая известия; 4, Русская печать; 5, Иностранная печать; 6, Корреспонденция из-за границы политического содержания; 7, Внутренняя корреспонденция; 8, Хроника; 9, Эхо (толки и слухи); 10, Очерки петербургской жизни; 11, Очерки русской жизни; 12,

Судебная хроника; 13, Театральная и музыкальная хроника; 14, Телефон (разные мелкие известия); 15, Рабочий Эхо; 16, Эхо-портреты; 17, Фельетон: 1, Обзор русской журналистики; 6, обзор специальных журналов, обзор промышленности; г, изобретений и открытий; 2, Воскресные фельетоны; 3, Иностранная хроника и 4, Романы, повести и рассказы русские и переведенные с английского, французского; и немецкого; 18, Биржевые известия и курсы; 19, Прихавшие и выхавшие; 20, Железные дороги; 21, Театры; 22, Скорбный список; 23, Объявления.

Контора редакции отвечает за исправную доставку в том же только случае, когда подписчик выписал газету прямо из конторы редакции, находящейся в С.-Петербурге по Невской улице, дом № 9-й, кв. 21-й.

Годовая цена за газету (с 1 го января 1883 по 1-е января 1884 г.) 10 руб. сер., за полгода—6 руб. сер., за три месяца—3 руб. сер., за 1 месяц—1 руб. сер. (4-4)

დაიბეჭდა და ისეილება გ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მალაზიაში

**ეროზა**

თბილ. ნ. ნიკოლაძის გამოცემული წ. ჩიჭინაძისაგან. ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისეილება გ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მალაზიაში

**დედა და ვილი**

ლა რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისაგან გამოცემული ფასი 15 კაპ.

**ბეკკერის თეატრი**

ბუნების მოედანზედ.

მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული განათებით.

ზაბათს, 4 დეკემბერს

გამოჩენილის რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისგან პროფესორი ბეკკერისგან

იქნება მეორე გასართობ-სასწავლებელი საბავშვო წარმოდგენა საჩუქრებით.

წარმოდგენა იქნება 4-ს განყოფილებ. დ, სრულიად ახალის პროგრამით, რომელსაც არაერთი დამოკიდებულება აქვს წარსულს ბავშვთათვის წარმოდგენას და ბოლოს პირველად

**ქანტასეგოგორია**

და გამოცხადება კარიკატურებისა და საოხუნჯო ნილავანის სურათები

აღვიწყობის ფასი შემცირებულია.

დაიწყება 5 საათზე.

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცირესეს კლასებში სსსმარებული, შედგენილი ი. გოგუბაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისეილება გრიჭოვას წიგნის მალაზიაში, გუკის სახლის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო ბიბლს, რომელნიც იყიდის სადღეს ფულზედ ერთად თხუთმეტ ეგზემპლარსა, ანუ მომეტეულსა, დაეთმობა ეგზემპლარის თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა სამართველონი, მეორე შეცვებული გამოცემა; ისეილება იმავე მალაზიაში. ფასი სამი ანაზი; ვინც ათს ეგზემპლარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლარის მუდგეულს—ათს შაურად.